კაცთა ყველანაირ ერთა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 1948 წ. № 34 (8078). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

მთელი ძალით ვიმუშაოთ ამომრჩეველთა ნდობის გასამართლებლად — მოწინავე (1-ლი გვერდი).

შრომითი რეზერვების სამინისტროს სასწავლებელთა მოსწავლეებისა და მუშაკების წერილი საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს (1-ლი გვერდი).

საბჭოთა არმიის XXX წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების XXVII წლისთავის "შესახვედრად" (1-ლი გვერდი).

ისტორიის ფალსიფიკატორები (მე-2 და მე-3 გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მთელი ძალით ვიმუშაოთ ამომრჩეველთა ნდობის გასამართლებლად

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ თვეზე მეტმა განვლო. შესდგა ახლად არჩეული საბჭოების პირველი სესიები, შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანოები, მუშაობა გაანაღეს დეპუტატებმა.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრია ადგილობრივ საბჭოებს. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია მძლავრი შრომქმედებითი შრომა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. საქართველოს მშრომელები სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად თავდადებულად იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები ხუთწლედის მესამე წლის დამდეგიდან ვე დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათ რიგებში არიან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებიც, რომლებიც ძალიანის დაუზოგავად შრომობენ ხალხის მაღალი ნდობის გასამართლებლად.

განსაკუთრებული აქტივობით ხასიათდება სასოფლო საბჭოების დეპუტატთა მოღვაწეობა ამ დღეებში. მათ მიერ შეტანილ წინადადებათა განსახილველად იკრიბებიან სასოფლო საბჭოები, მსჯელობენ კოლმეურნეობების განმტკიცებასა და სოფლად კულტურული მშენებლობის კონკრეტულ საკითხებზე. სოფელ ჯიმითის (კაჩეთის რაიონი) სასოფლო საბჭოს მუდმივ მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატმა გ. თევდორაშვილმა საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად შეიტანა მეტად აქტიანური საკითხები, მათ შორის საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზაღაფფნის შემოწმების, მინდვრის თავგეთან ბრძოლის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის საღარეგანიერ ღონისძიებათა დასახვის საკითხები. სასოფლო საბჭოს აღმასკომი მხურვალედ გამოეხმაურა დეპუტატის ამ ინიციატივას და საქმანინა გადაწყვეტილებაც მიიღო. მეტად ნაყოფიერი შუშობა გაშალა ამავე საბჭოს კეთილმოწყობის მუდმივ მოქმედმა კომისიამ, რომელსაც დეპუტატი ვორგი დარჩიაშვილი ხელმძღვანელობს. აბხ. დარჩიაშვილმა კომისიის მუშაობაში, დეპუტატების გარდა, აქტივიც ჩაიბა. პირველსავე სხდომაზე განიხილეს რადიოკვანძის მოწყობის საკითხი. საბჭოს აღმასკომის მხარდაჭერით დღეს სოფელში 15 რადიოწერტილი მოწყობილი. ახლო მომავალში მთელი სოფლის რადიოფიცირება მოხდება. კომისიის მიერ აღმასკომის სხდომაზე შეტანილი წინადადების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება კაჭრეთიდან ელექტროსაბის გაყვანის შესახებ. მუშაობა დაწყებულია და მოკლე ხანში ჯიმითელ კოლმეურნეთა ბინებს ელჩრის ნათურა განათებს.

კიდევ უფრო საყურადღებოა სოფელ ლიხეთის (ამბროლაურის რაიონი) სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ინიციატივა. ამ სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა ა. ლომბანიძემ, ვ. მელაშვილმა, დავით და პასიკო ჯაფარიძეებმა საბჭოს აღმასკომში შეიტანეს წინადადება მდინარე ხეორაზე ელექტროსადგურის აგების შესახებ. ეს ელსადგური სოფელ ლიხეთისა და ამბროსიაურ 361 კოლმეურნის სახლებს განათებს და სახეინ ქარხანასაც ამოუშვებს. ლიხეთელი დეპუტატები პრაქტიკულად შეუდგნენ საკოლმეურნეო კლუბისათვის შენობის აგების საშზადისაც. დეპუტატთა ინიციატივას მხარს უჭერენ სასოფლო საბჭოს აღმასკომი, მასები. იგრძნობა, რომ ულოვეეთა დეპუტატთა კაკვირი ამომრჩეველთაან, ხოლო აღმასკომის კაკვირი—თავის დეპუტატებთან. თუ ასეთი კაკვირი არ არის, ირავითარი ეფექტი არ ექნება არც დეპუტატების მოღვაწეობას და არც საბჭოს აღმასკომის საქმიანობას.

ხალხმა თავის დეპუტატებს დაავალა ყოველდღიურად იზრუნონ ქალაქისა და სოფლის კეთილმოწყობის საკითხებზე. ახლად არჩეულმა დეპუტატებმა ბევრგან ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ არ სრანს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ინიციატივა. ამაში მნიშვნელოვანწილად ბრალი მიუძღვით რაიონსაბჭოებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობის 80 პროცენტზე მეტი პირველადაა არჩეული. მაშასადამე, მათ საბჭოთა მშენებლობის დარგში მუშობის, საზოგადო მოღვაწეობის ნაკლება გამოცდილება აქვთ. ამიტომ რაიონაბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ ფართოდ გაშალონ ორგანიზაციორ-მასობრივი მუშაობა, უზრუნველყონ თვითეული დეპუტატის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

კარგად იქცევიან ადგილობრივი საბჭოების ის აღმასკომები, რომლებიც დეპუტატებს აძლევენ კონკრეტულ დავალებებს, აკისრებენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე მოხსენების მომზადებას აღმასკომის სხდომებისათვის, ეხმარებიან მიცემულ დავალებათა შესრულებაში. დეპუტატებთან მუდმივი მუშაობა ზრდის მათ აქტიურ სახელმწიფო მოღვაწეობად. მით უმეტეს საქმროა ეს ახლა, როდესაც დეპუტატთა უმრავლესობა პირველადაა არჩეული საბჭოებში.

სასოფლო საბჭოების, მათი დეპუტატების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის სანიმშოდ მოამზადება, მისი ორგანიზებულად ჩატარება. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით ჩვენი დეპუტატები ამ შემთხვევაშიც სანიმშოდ შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, გაამართლებენ ამომრჩეველთა ნდობას.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ

ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძეო!

იმ დღეებში, როცა ჩვენი დიადი სამშობლო ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადში გადადგა, ამ წერილით მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, ჩვენი საყვარელი მამაც და მასწავლებელო.

ამკაშად მთელი საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, შრომობს ძალ-ღონის დაუზოგავად, რათა რაც შეიძლება მალე მოიშუშოს ომით მოყენებული ჭრილობები და ოთხ წელიწადში შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა.

მთელ ჩვენს თვალწინაა ქვეყანაში მწყობრში დგებიან ახალგაზრდები და აშენებენი საწარმოები, რკინიგზები, საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, სამეცნიერო-საკვლევი და კულტურული დაწესებულებანი. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ამ დიად შემოქმედებითს მუშობაში ჩვენს შრომასაც უდგეს წილი.

ამხანაგო სტალინ, თქვენი ინიციატივით შექმნილი სახელმწიფო შრომითი რეზერვები მუშაობა კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის ორგანიზებული შევსების ძირითადი წყარო გახდა.

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ამჟამად ერთ მილიონზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლის ჩვენი ქვეყნის სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საკარხნო სკოლებში.

მარტო 1947 წლის მანძილზე შრომითი რეზერვების სამინისტროს სასწავლებლებში მოამზადებულ იქნა და სახალხო მეურნეობაში გაგზავნეს 796 ათასი ახალგაზრდა მუშა — ორჯერ მეტი ვიდრე 1946 წელს, ხოლო შრომითი რეზერვების ორსებობის მთელი ხნის განმავლობაში ჩვენმა სახალხო მეურნეობამ სამმილიონნახევარი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა მიიღო. ახალი ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში შრომითი რეზერვების სასწავლებელთა რაოდენობა 2.500-დან 4.200-მდე გაიზარდა.

პროფესიათა სწავლების დროს ჩვენ სასწავლებელთა და სკოლათა საწარმოო სახელოსნოებში, ქვანახშირის შახტების სანგრევებში, ბრძმედებსა და მაღრეწინის ღუმელებთან, ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში, ახალშენებლობათა ხარაჩოებზე და ტრანსპორტზე ვეცდილობთ დახმარება გავუწიოთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

1947 წელს ჩვენ ამოვიღეთ 2 მილიონი ტონა ქვანახშირი, 270 ათასი ტონა მადანი, შევაკეთეთ 2.000 ფოლადმადალი და 17.000 ვაგონი, დავამზადეთ 2.400 ლოკომოსაპრელი ჩარხი, 60 მილიონი მანეთის ინსტრუმენტი, 4 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ნაწილები და მრავალი სხვა ნაწარმი.

ჭაბუკები და ქალიშვილები, რომელთაც შრომითი რეზერვების სასწავლებლები და სკოლები დაამთავრეს და წარმოებაში გადავიდნენ, ცდილობენ გაზდნენ და კიდევაც ხდებიან სტახანოვიანელები, თავიანთი საქმის ოსტატები.

მსოფლიოში სხვა ქვეყანა არ მოიძოვება, სადაც ახალგაზრდობა ისეთ მოსაწილეობას იღებდეს თავისი სახელმწიფოს შენებლობაში, როგორც ეს ჩვენში არის. მსოფლიოში სხვა ქვეყანა არ მოიპოვება, სადაც სახელმწიფო ისე ზრუნავდეს მუშათა კლასის შეესებისათვის, სადაც ახალგაზრდობას პროფესიის შეძენის ისეთი ფართო შესაძლებლობა ჰქონდეს, როგორც ეს საბჭოთა კავშირშია.

მით უფრო მადლიერი ვართ და მით უფრო შეგნებული გვაქვს საშობლოს წინაშე ჩვენი მოვალეობა, როცა ერთმანეთს ვდარებთ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების ცხოვრებას და კაპიტალის ქვეყნების ახალგაზრდობის უსახარელო ცხოვრებას.

საბჭოთა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს პარტია და მთავრობა საშუალებას აძლევენ მიიღონ პროფესიული განათლება, უზრუნველჰყოფენ მათს კულტურულ და ჯანსაღ დასვენებას.

რა მოეხერხებოდა ბედნიერებად მიანნინ ეს ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და კაპიტალისტური სამყაროს სხვა ქვეყნების მილიონობით ახალგაზრდა ადამიანს.

ჩვენ იმით ვამაყობთ, რომ ვცხოვრობთ საბჭოთა დიად ქვეყანაში და ისეთ ეპოქაში, როცა მოღვაწეურ პარტიას თქვენი ხელმძღვანელობით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიჰყავს მთელი ხალხი.

ჩვენ იმით ვამაყობთ, რომ ბოლშევიკური პარტია და მისი ერთგული თანამშეწე — ლენინურ-სტალინური კომკავშირი დიად ლენინურ-სტალინურ იდეათა სულის კვეთებით გაზრდილან.

ჩვენ იმით ვამაყობთ, რომ გამოგვიცხადეს დიდი ნდობა—ვიყოთ საბჭოთა ქვეყნის გმირი მუშათა კლასის შვილება.

ჩვენთვის თქვენი ზრუნვის პასუხად, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, პირობას გაძლევთ ბეჯითად ვისწავლოთ და ვიმუშაოთ, ჩინებულად დავეუფლოთ ჩვენს საწარმოო პროფესიას, გავეფიცოოოთ ტექნიკური, კულტურული და იდეური პირობიზენი.

პირობას გაძლევთ დავიცვათ საბჭოთა მოქალაქის სახელი და ღირსება, მუდამ ვიზრუნოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის.

ეაღდებულებას ეკისრულობთ საწარმოო სწავლების პროცესში მიეცეთ 1948 წელს სახალხო მეურნეობას 5 მილიონი ტონა ქვანახშირი, დავამზადოთ სასწავლო სახელოსნებში 3.000 ლოკომოსაპრელი ჩარხი და 70 მილიონი მანეთის სხვადასხვა ინსტრუმენტი.

ჩვენ, შრომითი რეზერვების სასწავლებლების მუშაკები, პირობას გაძლევთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოკაზმაროთ მთავრობის დავალების შესრულებაში — მოვამზადოთ და გადავცეთ სახალხო მეურნეობას 1948 წელს 1.100 ათასი კვალიფიციური მუშა, გავადიდოთ კვალიფიციურ მუშათა მომზადება მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ქარხანაში შესდგა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო საკარხნო კრება, „საბჭოთა საქართველო ახალ ხუთწლედში" და სხვ.

დიადი თარიღების აღსანიშნავად რაიონის საწარმოებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხუთშეკიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. ასობით მუშა სტახანოვურ ვაჩაზზე დგება და ნაკისრ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. 26 კომისრის სახელობის ქარხნის სტახანოველება ვ. კორძაძე, ს. სოფაზაშელი, ა. ქვირიშელი, ლ. სიეიკო ყოველდღიურ დავალებას 400-500 პროცენტით ანაღდებენ. ასევე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს სტალინის სახელობის ქარხნის სახელოსნეებელი სტახანოველები ს. ზარიძე, ი. ჭუმბურიძე და სხვები.

ᲛᲔᲠᲥᲘᲐᲜᲘᲡ სახელობის მუშათა კლუბში მოწყობილია სპეციალური გამოფენა. გამოფენა მნახველებს აცნობს რაიონის მოწინავე საწარმოთა და წარჩინებულ ადამიანთა მიღწევებს. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვასოკ-ფილებისა: ლენინის რაიონი ახალ სტალინურ ხუთწლედში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ XXX ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ XXVII ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ "ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ"

ᲛᲐᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონში გაცხოველებით ეზზიდებიან საბჭოთა არმიის XXX წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVII წლისთავისათვის. რაიკომის პარტკაბინეტში, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ, ატოსარემონტო ქარხნებში და მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა სპეციალური გამოფენები, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა საქართველოს მიღწევები ბანგლილი 27 წლის მანძილზე და ჩვენი სახელოვანი არმიის ისტორიული გამარჯვებანი.

1.000-მდე ავიტატორი საწარმო-დაწესებულებებში და ყოფილ საარჩევნო უბნებში ატარებს საუბრებს თემებზე: „ი. ბ. სტალინი — საბჭოთა არმიის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი", „საბჭოთა არმია—ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დამცველი", „საბჭოთა საქართველოს XXVII წელი", „საბჭოთა საქართველო ახალ ხუთწლედში" და სხვ.

ᲡᲐᲜᲐᲠᲐᲛᲝᲝ ᲡᲐᲮᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ქარხანა „დაზგამ" (თბილისი) წარმატებით დაიწყო 1948 წელს. იანვრის გეგმა ქარხანამ შესრულებულ იქნა ექვსი დღით ადრე. ამავე დროს წარმატებით მიმდინარეობდა მოსამზადებელი მუშაობა ახალი დაზგის გამოსაშვებად.

იანვარში დაწნაურდნენ მთელი რიგი საოსტატოები, ბრიგადები და საამქროები. მოწინავეებად წინადადებით მიმართეს ქარხნის ხელმძღვანელობას ვანაოდეს შეჯიბრება თებერვლის გეგმის ვადამდე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVII წლისთავისათვის შესასრულებლად. ამ წინადადებას განსახილველად ქარხანაში შესდგა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო საკარხნო კრება, რომელზეც მოწინავე ოსტატებმა, ბრიგადირებმა და სტახანოველებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს: ბ. ქუთათელაძემ, ინჟინერმა ვ. სეფერთელაძემ, ამწოდის საამქროს უფროსმა ვ. ეაწაძემ, ზენინალაძმა მ. აბუაშელიძა, ოსტატმა ვ. ნეტერიაკამ, ხარატმა პ. ზახარიევმა და სხვებმა.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა დაიჩქაროს წელს გამოსაშვებად გათვალისწინებული ახალი სისტემის დაზგათა წარმოების ათვისება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის — 25 თებერვლისათვის უზრუნველყოს თბილისელ ვეგმის გადაჭარბებით შესრულება.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲐᲡᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

მარქსიზმის საპოდგრამო დოკუმენტის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ასი წლისთავის შესარულებასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ეკონომის სამეცნიერო ინსტიტუტში პარტკაბინეტში სისტემატიურად ეწყობა კონსულტაციები და სემინარები. 9 თებერვალს აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის ჩატარდა სემინარი „მანიფესტის" 100 წლისთავის შესახებ. როგორც პარტკაბინეტის თებერვლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს, ქალაქის მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში (საავტომობილო ქარხანა, ციოსჩპენი, მესხიშვილის სახელობის თეატრი და სხვ.) ეწყობა ლექციათმოხსენებები. ციოსჩპენში დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის პროპაგანდისტ დარეჯან დ. კოპალიანის მოხსენებამ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" შესახებ.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გამოსულიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა პოლიტიკური ეკონომიის კათედრასთან ერთად აწყობს საშეცნიერო სესიას. სესიაზე წაკითხულ იქნება 4 მოხსენება: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" პროლეტარული რევოლუციის პროგრამაა" (მოახსენებელი ამხ. გ. ნხეიძე), „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" და კომუნისტური მორალი" (პროფესორი ა. ბოჭორიშვილი), „ბარქსისა და ენგელსის ეკონომიური შეხედულებანი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" მიხედვით" (დოცენტი ს. ყარსანიძე), „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" და საკურსის პრობლემა" (ლექტორი ე. ჩხაიძე).

ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე წაკითხულ საუბრები „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" შესახებ.

საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა, მიძღვნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ასი წლისთავისადმი. გამოფენა დიდძალ მნახველს იზიდავს.

Გ. ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲠᲗ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲗᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ

„დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე მოსკოვში კვირას, 15 თებერვალს, შესდგა რუსეთის ფედერაციის საზამთრო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრები გაზსნის დღისსწაულზე; სპარტაკიადა მიძღვნილი საბჭოთა არმიის 30 წლისთავისადმი.

ახალგაზრდობის ამ ზეიმს, ახალგაზრდა სპორტსმენების დღესასწაულს, რომლებმაც დიდ სრულყოფას მიაღწიეს, წინ უსწრებდნენ რაიონების, ქალაქების, ოლქებისა და მხარეების ფიზიკური კულტურის კოლექტივების მასობრივი შეჯიბრებანი. შეჯიბრებებში 64 ოლქში, მხარესა და ავტონომიიერ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში ორნახევარ მილიონამდე მონაწილე მიიზიდეს. ამჟამად რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში ითვლება 75 ათასი ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებიც 3,5 მილიონ კაცს ეერთიანებენ. შეკრებილია 347 სტადიონი, 420 საკიმნასტიკო დარბაზი, 8 ათასამდე სათხილამურო ადგილი.

თვალუწვდენ თოვლიან სივრცეებში, ყინულოვან მინდვრებში, მშვენივრად მოწყობილ სასპორტო დარბაზებში ფეზავე და დამბალულ ბრძოლაში იმენდნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში სრულიად რუსეთის სპარტაკიადის ფინალზე დასწრების საპატიო უფლებას. მოსკოველი ოლქში შესარჩევ შეჯიბრებათა სტატეზე გამოვიდა 300 ათასი ფიზკულტურელი, ბაშკირეთის რესპუბლიკასა და სვერდლოვსკის ოლქში — 100 ათასი თვითეულში. 700-ზე მეტი კოლექტივი მონაწილეობდა კუიბიშევის ოლქის სპარტაკიადაში. ბურიატ-მონღოლეთის 500 კოლეფურნე იღებდა მონაწილეობას მძლეოსანთა კონკურსში. ამ რესპუბლიკაში ხელი მიჰყავს საცეკვო სპორტს, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა მსოფლიო რეკორდები დაამყარეს. და ასეა ყველგან, მთელი რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში.

ადგილობრივმა სპარტაკიადებმა ცხადყვეს ახალგაზრდობის სასპორტო ოსტატობის მნიშვნელოვანი ზრდა.

35 ერთეულის წარმომდგენლები, სოუკეთეესონი ოკეთესთა შორის, მოსკოეს ჩამოვიდნენ. საზეიმო პარადისათვის ისინი მწყობრ რიგებად ჩაშწკრიგდნენ „დინამოს" სტადიონის დათოვლილ მოედანში.

ზამთრის ჰაერში ეუცრად გაისმა მქუხარე ჩაში. ცენტრალურ ლოჟაში გამოჩნდნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. ჟუნკეკოვი, მ. ი. როდიონოვი, ი. ა. ვლასოვი, ბ. ნ. ჩერნოუსოვი, ი. ა. პარფენოვი, ს. მ. ბუდიონნი, ნ. ა. მიხაილოვი, ვ. ნ. მაკაროვი, ი. პ. დალმატოვი, ნ. ნ. რომანოვი.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ

ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძეო!

ᲛᲔᲠᲥᲘᲐᲜᲘᲡ სახელობის ქარხნის ეკონომიური ანგარიშგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკონომიური ანგარიშგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ᲛᲔᲠᲥᲘᲐᲜᲘᲡ სახელობის ქარხნის ეკონომიური ანგარიშგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ᲛᲔᲠᲥᲘᲐᲜᲘᲡ სახელობის ქარხნის ეკონომიური ანგარიშგების ანალიზი ცხადყოფს, რომ

ისტორიის ფალსიფიკაციორები

(ისტორიული ცნობა)

III

საბჭოთა კავშირის იზოლაცია. საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტი

ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის შემდეგ ფაშისტურმა გერმანიამ საყურადღებო ამკარად მთელი მსოფლიოს თვალწინ დაიწყო ომისთვის მზადება. ჰიტლერმა, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი აქეზებდნენ, თავი დაანება ცეცხლნიერებას და თავს აღარ აჩვენებდა ევროპის პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრედ. დადგა ომისწინა პერიოდის ყველაზე დრამატული თვეები. უკვე მაშინ ცხადი იყო, რომ თვითეული დღე კატასტროფის ახლოვებდა უბედურების სამხედრო კატასტროფასთან.

როგორი იყო მაშინ ერთი მხრივ საბჭოთა კავშირისა და მეორე მხრივ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკა?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ისტორიის ფალსიფიკატორთა ცდა — თავი აარიდონ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მათი სინდისი შებღალულია.

სიმართლე ის არის, რომ ინგლისი და საფრანგეთი ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხარდაჭერით 1939 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის სამედისწერო პერიოდშე, როცა ომი კარზე იყო მოსულები, განაგრძობდნენ თავიანთი პოლიტიკის ძველ გეზს. ეს იყო საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის აროგოკაციული წასისიანების პოლიტიკა, რასაც მოსატყუებლად ფარავდნენ არა მარტო ფარისეველური ფრაზებით საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნის შესახებ, არამედ ზოგიერთი უხეირო დიპლომატიური მანევრებითაც, რომლებსაც ხალხთა საზოგადოებრივი აზრისათვის უნდა დაემალა მათ მიერ აღებული პოლიტიკური კურსის ნამდვილი ბასიათი.

ასეთი მანევრები იყო, უწინარეს ყოვლისა, 1939 წლის მოლაპარაკება, რაც ინგლისმა და საფრანგეთმა დაიწყეს საბჭოთა კავშირთან. საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად ინგლისსა-საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ ეს მოლაპარაკება წარმოედგინათ როგორც ჰიტლერული აგრესიის შემდგომი გავრცელებისათვის წინააღმდეგობის გაწევის სერიოზული ცდა. მაგრამ ამბების მთელი შემდგომი მსვლელობით საფსენთ ნათელი გახდა, რომ ინგლის-საფრანგეთის მხარისათვის ეს მოლაპარაკება თავიდანვე მხოლოდ მორიგი სვლა იყო მის ორპოფულ თამაშში.

ეს ცხადი იყო ავრეთვე ჰიტლერული გერმანიის ხელმძღვანელებისათვის, რომელთათვისაც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ საბჭოთა კავშირთან წამოწყებული მოლაპარაკების აზრი, რასაკვირველია, საიდუმლოების არ წარმოადგენდა. ეი რას სწერდა, მაგალითად, ამის შესახებ გერმანიის ელჩი ლონდონში დირქსენი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი 1939 წლის 3 აგვისტოს მოხსენებაში, როგორც ამას მოწმობს საბჭოთა არქივის მიერ ჰიტლერული გერმანიის განადგურებისას ხელში ჩაგდებული დოკუმენტები:

„ამ 3 სექტემბრს შთამბეჭდილება, რომ უკანასკნელ თვეებში წარმოშობილი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან მხოლოდ საერეგო საშალებაა გერმანიასთან ნამდვილი შერიგებისათვის და რომ ეს ურთიერთობა გაჩერება, როგორც კი მიღწეული იქნება ერთადერთი დიდმნიშვნელოვანი და ამ ღონისძიებათა შესაბამისი მიანი — გერმანიასთან შეთანხმება“.

ამ აზრს მტკიცედ ეზიარებდა ყველა გერმანელი დიპლომატი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ვითარებას ლონდონში.

თავის მეორე საიდუმლო მოხსენებაში ბერლინისადმი, დირქსენი სწერდა:

„ინგლისს სურს შეიარაღებისა და მოკავშირეთა შეძენის მეთოდით გაძლიერდეს და გაუთანასწორდეს ღერძს, მაგრამ ამავე დროს მას სურს სეკალოს მოლაპარაკების ეზოთ მიაღწიოს გერმანიასთან შეთანხმებას“.*)

ცალსმენებლები და ისტორიის ფალსიფიკატორები ცდილობენ დამალონ ეს დოკუმენტები, ვინაიდან ეს დოკუმენტები ნათელს ჰფენენ ომისწინა უკანასკნელი თვეების ვითარებას, რომლის სწორად შეუფასებლად შეუძლებელია გავიგოთ ომის ნამდვილი წინა ისტორია. როდესაც ინგლისი და საფრანგეთი ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხარდაჭერით მოლაპარაკებას იწყებდნენ საბჭოთა კავშირთან და გარანტიებს აძლევდნენ პოლონეთს, რუმინეთსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, ისინი ეწეოდნენ ორპოფულ თამაშს, რაც გათვალისწინებული იყო ჰიტლერულ გერმანიასთან შეთანხმებისათვის იმ მიზნით, რომ მისი აგრესია წარემართათ აღმოსავლეთთან, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ერთი მხრივ ინგლისსა და საფრანგეთს და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკება დაიწყო 1939 წლის მარტში და დაახლოებით ოთხ თვეს გაგრძელდა.

ამ მოლაპარაკების მთელმა მსვლელობამ სრული ნიშნადგი გვიჩვენა, რომ იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი ცდილობდა დასაკეთო სახელმწიფოებთან მიეღწია ფართო და თანასწორუფლებიანი შეთანხმებისათვის, რომელსაც თუნდაც უკანასკნელ მომენტში შეეძლებოდა გერმანიის შეჩერება ეფრთაბინა ომის გაჩაღებისგან, ინგლისსა და საფრანგეთის მთავრობები, რომლებიც შეერთებული შტატების მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ, სრულიად სხვა მიზნებს ისახავდნენ. ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ სხვისი ხელით ნარის გლეჯვას, აბჯარადაც შეეცადნენ თავ მოუხვიათ საბჭოთა კავშირისათვის ვალდებულებანი, რომელთა ძალითაც სსრ კავშირი იკისრებდა შესაძლო ჰიტლერული აგრესიისათვის წინააღმდეგობის მსგენელის მთელ სიმძიმეს, ხოლო ინგლისი და საფრანგეთი სრულიად არ შეიბოჭავდნენ თავს რაიმე ვალდებულებანი საბჭოთა კავშირის მიმართ.

ინგლის-საფრანგეთის მმართველებს ამ პაქტების განხორციელებაზე რომ მეჭიხრნებინათ, ისინი საგონებლად მიუაზოლოდნენ თავიანთი მირთოთა-ფაზეთ ბანხორციელებს, რომელიც ამაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება მალე შეეჯახებინათ ერთმანეთისათვის გერმანია და საბჭოთა კავშირი. მაგრამ, ეს განზრახვა გამოიკვეთა საბჭოთა მთავრობამ, რომელიც მოლაპარაკების „ყველა ეტაპზე დასაფეთ ინგლისსა-საფრანგეთის დიპლომატიურ ფაფდებსა და ხერხებს უპირისპირებდა თავის აშკარა და ნათელ წინადადებებს, რომლებიც ეჭსაურებოდნენ მხოლოდ ერთ მიზანს — ევროპაში შვიდობის დაცვის საქმეს.

საჭირო არ არის გავიხსენოთ ამ მოლაპარაკების ყველა პერიპეტია. საკმარია შეხსენებები აღვიდგინოთ მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. საკმარისია გავიხსენოთ ის პირობები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ ამ მოლაპარაკების დროს წამოაყენა: ინგლისსა, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის აგრესიის წინააღმდეგ „ურთიერთდახმარების ეფექტიანი პაქტის დადება; ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის მხრივ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოების, მათ შორის სსრ კავშირის მოსაზღვრე უკლებლივ ყველა ევროპული ქვეყნის გარანტირება; ინგლისსა, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის კონკრეტული სამხედრო შეთანხმებების დადება აგრესორების თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთისათვის და გარანტიის მქონე სახელმწიფოებისათვის დაუყოვნებლივი და ეფექტიური დახმარების ფორმებისა და ოდენობის შესახებ.*)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე 1939 წლის 31 მაისს ვ. მ. მოლოტოვი აღნიშნავდა, რომ ინგლისა-საფრანგეთის „ზოგიერთ წარმომადგენლები, რომლებიც „ეამოყენებენ ნებისმიერ ფორმას, ან იყო ამ მოლაპარაკების დროს, არ იყო ურთიერთვალდებულებებისა და თანასწორობის ელემენტარული პრინციპი, რომელიც საკალებელია ყოველგვარ თანასწორუფლებიან შეთანხმებაში“.

„უზრუნველპოფდნენ რა თავიანთ თავს, — სთქვა ვ. მ. მოლოტოვმა, — აგრესორების პირდაპირი თავდასხმისაგან ურთიერთდახმარების პაქტების დადებით ურთიერთშორის და პოლონეთთან, და „უზრუნველპოფდნენ რა თავიანთს სსრ კავშირის დახმარებას პოლონეთსა და რუმინეთზე აგრესორების თავდასხმის შემთხვევაში, ინგლისელები და ფრანგები ღიად სტოვებდნენ საკითხს — შეუძლია თუ არა სსრ კავშირს თავის მხრივ იქონიოს მათი დახმარების იმედი მასზე აგრესორების პირდაპირი თავდასხმის შემთხვევაში, ისევე როგორც ღიად სტოვებდნენ მეორე საკითხს — შეუძლიათ თუ არა მთა მონაწილეობა მიიღონ გარანტიის მიცემაში სსრ კავშირის მხაზეიერე ევროპის სახელმწიფოთათვის, რომლებიც სსრ კავშირის ჩრდილოეთ დასაკეთო საზღვრებს ეკვრიან, თუ ისინი უძლეურნი აღმოჩნდებიან დაიცვან თავიანთი ნეიტრალიტეტი აგრესორების თავდასხმისაგან. ამგვარად, გამოდიოდა არათანასწორი მდგომარეობა სსრ კავშირისათვის“.

მაშინაც კი, როცა ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლები სტაყვიერად ეთანხმებოდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ურთიერთდახმარების პრინციპს ურთიერთვალდებულებათა პირობებში, აგრესორის პირდაპირი თავდასხმის შემთხვევაში, — ისინი ამას მთელ რიგ შენიშვნებს უკეთებენ, რომლებიც ამ თანხმობის ფიქციურს ხდიდნენ.

გარდა ამისა, ინგლის-საფრანგეთის წინადადებანი თავდაუსწინებენ სსრ კავშირის მხრივ დახმარების იმ ქვეყნებისადმი, რომლებსაც ინგლისელებმა და ფრანგებმა გარანტიების დაპირება მისცეს, მაგრამ მათ არაფერი უთქვამთ თავიანთი დახმარების შესახებ სსრ კავშირის ჩრდილოოდასავლეთი საზღვარზე მდებარე ქვეყნებისათვის — ბალტიისპირა სახელმწიფოებისათვის, მათზე „აგრესორის თავდასხმის შემთხვევაში.

ყველა ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მიხედვით, ვ. მ. მოლოტოვმა გაანაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის არ შეუქმია იესრის ვალდებულებანი ზოგი ქვეყნების მიმართ, თუ ასეთივე გარანტიები არ იქნება საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრებზე მდებარე ქვეყნების მიმართ.

საჭიროა აგრეთვე გავიხსენოთ, რომ რიცა 1939 წლის 18 მარტს ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში სიიდი შეეკითხა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, თუ როგორი იქნებოდა საბჭოთა კავშირის პოზიცია რუმინეთის წინააღმდეგ ჰიტლერული აგრესიის შემთხვევაში, რის მომზადების შესახებაც ინგლისელებს ჰქონდათ ცნობები, და როცა საბჭოთა კავშირის მხრივ დაყენებულ იქნა კითხვა, როგორი იქნებოდა ასეთი პირობებში ინგლისის პოზიცია, სიიდმა თავი აარიდა პასუხს და შენინა, რომ გეოგრაფიულად რუმინეთი საბჭოთა კავშირთან უფრო ახლოა, ვიდრე ინგლისთანა.

ამრიგად, პირველი ნაბიჯიდანვე აშკარად გამოიკვეთა ინგლისის მმართველი წრეების მისწრაფება შეემოწმათ საბჭოთა კავშირი გარკვეული ვალდებულებებით, თვითონ კი განეზე დარჩენილიყვნენ. ამავე მარტივ ხერხს შემდეგ სისტემატიურად, კვლავ და კვლავ, იმეორებდნენ მოლაპარაკების მთელი მიმდინარეობის მანძილზე.

ინგლისის შეკითხვის საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება — „მოწვეული ყოფილიყო ყველაზე დაინტერესებული სახელმწიფოების, სახელდობრ: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუმინეთის, პოლონეთის, თურქეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლთა თათბირი. საბჭოთა მთავრობის აზრით ასეთი თათბირი ყველაზე მეტ შეძლებლობას მოგვაცემდა ნამდვილი მდგომარეობის და ყველა მისი მონაწილეთა პოზიციის გამოსარკვევად. მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ უპასუხა, რომ საბჭოთა წინადადებას ნაადრეად სთვლიდა.

კონფერენციის მოწვევის ნაცვლად, რომელიც შესაძლებელ გახდიდა შეთანხმებას აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ, ინგლისის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას 1939 წლის 21 მარტს შესთავაზა მასთან ერთად, აგრეთვე საფრანგეთთან და პოლონეთთან ერთად, ხელი მოეწერა დეკლარაციისათვის, რომლითაც ხელმომწერი მთავრობები იკისრებდნენ „ეთათბირთან ინ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც უნდა გადადგმულიყო საერთო წინააღმდეგობისათვის“, იმ შემთხვევაში თუ „ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მოდუკეიდებლობას საფრთხე შეექმნებოდა“. ბრიტანეთის ელჩი ამტკიცებდა, რომ მისი წინადადება მისაღები იყო და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დეკლარაცია შედგენილი იყო „ულოწესად ნაკლებ დამავალდებულებელი გამოთქმებით.

საგულისხმო ცხადი იყო, რომ ასეთი დეკლარაცია არ იქნებოდა აგრესორის მხრივ შექმნილი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის სერიოზული საშუალება. მიგრამ საბჭოთა მთავრობა ფიქრობდა, რომ ასეთი მცირე დაპირების შემცველი დეკლარაციაც კი შეიძლებოდა გამხდარიყო თუნდაც ერთგვარი ნაბიჯი წინ აგრესორის ალაგმვის საქმეში, და დათანხმდა მიეღო ინგლისის წინადადება. მაგრამ უკვე 1939 წლის 1 აპრილს ინგლისის ელჩმა მოსკოვში განაცხადა, რომ ინგლისი ერთობლივი დეკლარაციის საკითხს მოხსნილად სთვლიდა.

ყველე ორი კვირის გაჭიანურების შემდეგ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალიფაქსმა მოსკოველი ელჩის მეშვეობით საბჭოთა მთავრობას შესთავაზა ახალი წინადადება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა მთავრობას გაეკეთებინა ვინაბლადება, რომ, „აგრესიის აქტის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის რომელიმე ევროპელი მეზობლის წინააღმდეგ, რომელიც წინააღმდეგობას გასწევდა, შეიძლება იმედი იქონინონ საბჭოთა მთავრობის დახმარებისა, თუ ეს დახმარება სასურველი იქნა“.

